

„დამტკიცებულია“  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.  
ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

**საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი**

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა**

**ხელოვნებათმცოდნეობა**

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი  
the Degree of Bachelor of Humanities in Art (Studies).

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი  
პროფესორი – ნონა შუმანიძე

ხიჭაური 2019

1. **პროგრამის სახელწოდება:** ხელოვნებათმცოდნეობა

2. **განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

3. **კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი

4. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**

პროგრამის მოცულობა 120 კრედიტი, მათ შორის: ძირითადი 60 კრედიტი, არჩევითი 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

5. **სწავლების ენა:** მშობლიური - ქართული ენა.

6. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიაში, გააცნობიეროს იგი შუა საუკუნეების ხელოვნების საღვთისმეტყველო საფუძვლებში, სახვითი ენის თავისებურებებსა და სტილის საკითხებში. გამოუმუშავოს მას ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზის, ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი. პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს კვალიფიციური ცოდნა და მოამზადოს მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარებას შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

7. **სწავლების ფორმატი:** სწავლა წარიმართება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით.

8. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** ბაკალავრის ხარისხი: ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

## 9. სწავლის შედეგები

მაგისტრატურის სწავლის შედეგები		
კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და აგაცნობიერება	აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.	აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორიაში. შეუძლია ქართული თვითმყოფადობის გაცნობიერება ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნებასთან მიმართებაში. მაგისტრი ფლობს ცოდნას შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ტიპების, სახვითი ხელოვნების სტილისტური ნიშნების, კედლის მხატვრობისადგილობრივი სკოლების, პლასტიკური დარგების იდეურ-სტილისტური გადაწყვეტის, მინიატიურის არსისა და დანიშნულების შესახებ.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და დამოუკიდებლად გამოყენებით.	შეუძლია შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშების, აქტუალური პრობლემების კვლევა ქრისტიანულ სამყაროსთან კონტექსტში. შეძლებს ხელოვნებათმცოდნეობითი და ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარებას უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. აქვს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი.
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი	გააჩნია სახელოვნებო თეორიული კვლევების კრიტიკული ანალიზის, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების, ინფორმაციების სინთეზის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით	შეუძლია კვლევის შედეგების, მოპოვებული ინფორმაციის სპეციალისტებისათვის გადაცემა. აქვს კომუნიკაციის უნარი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გააჩნია საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარი, პრეზენტაციის წარმართვის უნარი.
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე	შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი პრობლემის შესახებ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	გაცნობიერებული აქვს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. ღირსეულად დაიცავს ეროვნულ ღირებულებებს ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში.

## 10. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები

- ინტერაქტიული ლექცია
- სემინარი (პრაქტიკული ან წერითი)
- პრეზენტაცია, დისკუსია
- გასვლითი მეცადინეობა ძეგლზე
- შუალედური სემინარების მომზადება, დაგეგმვა
- ახსნა-განმარტების მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- დემონსტრირების
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა

## 11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
  1. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს და ა.შ. არ შეიძლება სტუდენტის შეფასება, მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.
  5. შუალედური შეფასება მოიცავს:
    - ა) შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს კონკრეტული საგნის მასწავლებელი, რაც აისახება ამავე სასწავლო კურსის შეფასების აღწერაში;
    - ბ) მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი (*წერითი დავალება, ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალება, და სხვა*) და ზეპირი (*ზეპირი მოსმენა, სემინარი, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, ზეპირი მოსმენის სხვა აქტივობა*) გამოკითხვების ფორმით, გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.
2. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
  - ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
  - ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

3. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერიტი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, წერიტი ან ზეპირი ფორმით. კომბინირებულ გამოცდაში თანაბრად (50/50-ზე) დაცული უნდა იყოს წერიტი და ზეპირი ნაწილების ხვედრითი წილი.
4. თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შედეგი მათი შეფასებების საშუალო არითმეტიკულია.
5. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.
6. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
7. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:
 

დადებითი შეფასებები:

  - ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
  - ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
  - გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
  - დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
  - ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

  - ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  - ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.
8. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
11. სტუდენტის გამოცდაზე შეუფასებლობის საფუძვლებია:
  - ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაკმარისი მიზეზით გამოუცხადებლობა ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
  - ბ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან ჩანაწერების (ე.წ. „შპარგალკა“) გამოყენება;
  - გ) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება. დანიშნული გამოცდის საკმარისი მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა, შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საკმარისი მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, დეკანის თანხმობის შემთხვევაში.

## გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია

1. 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს, კიდევ ერთხელ, იმავე სასესიო პერიოდში, ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე.
2. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი.
3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
4. ძირითად და დამატებით გამოცდაზე დადასტურებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნვა დაუშვებელია. აკადემიური დავალიანების დაფარვა მას შეუძლია, მხოლოდ მომდევნო სემესტრის სასესიო პერიოდში.
5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში FX შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშაოს კვლევითი კომპონენტი და წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო იგივე კომპონენტში F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

## 12. სასწავლო გეგმა - დანართი 1

## 13. სწავლის შედეგების რუქა დანართი 2

### აკადემიური რესურსი:

1. მარინე ყენია - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საგნები: შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა; ქრისტიანული იკონოგრაფია.
2. მარიკა დიდებულიძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. პროფესორი, საგნები: ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები; შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება ( კედლის მხატვრობა)
3. ნონა შუშანიძე – პროფესორი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიური დოქტორი; საგნები: ბიზანტიური არქიტექტურა; ბიზანტიური მხატვრობა ;შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (მინიატიურა, რელიეფი, ჭედურობა).
4. მაია ჭიჭილეიშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. მოწვეული ლექტორი. საგნები: სამაგისტრო ნაშრომი; სამაგისტრო პრაქტიკა.
5. ზაზა კილაძე - ისტორიის მაგისტრი. მოწვეული ლექტორი. საგნები: საქართველოს ეკლესიის ისტორია; ეკლესიის ისტორია; ძველი და ახალი აღთქმა; მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება.
6. თემურ ტუნაძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საგანი: ქართული ხალხური ხელოვნება.
7. ტარიელ ებრაღიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საგანი: შუა საუკუნეების არქეოლოგია.
8. თამილა ჩურკვეიძე - მოწვეული ლექტორი. საგანი: უცხო ენა (ინგლისური).
9. ლევან ხალვაში - მოწვეული ლექტორი. უცხო ენა (რუსული)

**მატერიალური რესურსი:**

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების პრეზენტაცია შესაძლებელია პროექტორის გამოყენებით, სტუდენტები ისარგებლებენ ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. ექნებათ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობა.

**დასაქმების შესაძლებლობები:**

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საშუალო და უმაღლეს სახელოვნებო დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სახელმწიფო და კერძო გალერეებში, მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრებში, ტელე-რადიო და ბეჭდვითი მედიაში ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით.

#	კომპონენტები	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტებისგანაწილებასემესტრებისმიხედვით				
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
	<b>სასწავლო კომპონენტები</b>	<b>90</b>											
1.	ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები	5	125	15	13	2	2	93	5				
2.	ძველი და ახალი აღთქმა	5	125	14	16	1	2	92		5			
3.	შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა	5	125	13	14	1	2	95	5				
4.	ქრისტიანული იკონოგრაფია	5	125	13	14	1	2	95		5			
5.	ბიზანტიური არქიტექტურა	5	125	13	14	1	2	95		5			
6.	შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (კედლის მხატვრობა)	5	125	15	17	1	2	90	5				
7.	ბიზანტიური მხატვრობა	5	125	13	14	1	2	95		5			
8.	შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (მინიატიურა, რელიეფი, ჭედურობა)	5	125	13	14	1	2	95			5		
9.	ქართული ხალხური ხელოვნება	5	125	15	14	1	5	90	5				
10.	შუა საუკუნეების არქეოლოგია	5	125	15	13	2	5	90			5		
11.	<b>სამაგისტრო პრაქტიკა</b>	<b>10</b>	<b>250</b>								<b>10</b>		
12.	<b>სამაგისტრო ნაშრომის შესრულება</b>	<b>30</b>	<b>750</b>										<b>30</b>
	<b>არჩევითი კურსები</b>	<b>30</b>							<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>		
13.	უცხო ენა (ინგლისური)	10	125		42	1	2	80					
14.	უცხო ენა (რუსული)	10	125		60			65					
15.	ეკლესიის ისტორია	5	125	14	16	1	2	92					
16.	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	125	15	12	1	2	95					
17.	მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება	5	125	14	16	1	2	92					
	<b>სულ</b>	<b>120</b>							<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	



სწავლის შედეგების რუკა								
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	2	3	4	5	6	7	8	9
	<b>სავალდებულო საგნები</b>							
1	ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები	5	x	x	x	x	x	x
2	ძველი და ახალი აღთქმა	5	x	x	x	x	x	x
3	შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა	5	x	x	x	x	x	x
4	ქრისტიანული იკონოგრაფია	5	x	x	x			
5	ბიზანტიური არქიტექტურა	5	x	x	x	x	x	
6	შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (კედლის მხატვრობა)	5	x	x	x	x	x	x
7	ბიზანტიური სახვითი ხელოვნება	5	x	x	x	x	x	x
8	შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (მინიატიურა, რელიეფი, ჭედურობა)	5	x	x	x	x	x	x
9	ქართული ხალხური ხელოვნება	5	x	x	x	x	x	x
10	შუა საუკუნეების არქეოლოგია	5	x	x	x	x	x	x
11	სამაგისტრო პროგრამა	10	x	x	x	x	x	x
12	<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	30	x	x	x	x	x	x
	<b>არჩევითი კურსები</b>	30						
13	უცხო ენა (ინგლისური)	10	x		x	x	x	x
14	უცხო ენა (რუსული)	10	x	x	x	x	x	x
15	ეკლესიის ისტორია	5	x		x			x
16	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	x	x	x	x	x	x
17	მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება	5	x		x			x